ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
მერიის
ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

№ 5-12/14325394-16

"12" 12 2014 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისში, სექტორი–ვაკე, ვაჟა–ფშაველას გამზ. III კვ. კორპ. №9-ს მიმდებარედ (ნაკვ. №13/048) არსებული მშენებლობადამთავრებული ობიექტის (მრავალფუნქციური (საოფისე სავაჭრო) შენობა) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანება – №916049 25.09.2013წ.

სამსახურის სპეციალისტების მიერ ქ. თბილისში, (სექტორი–ვაკე, ვაჟა–ფშაველას გამზ. III კვ. კორპ. №9-ს მიმდებარედ (ნაკვ. №13/048) არსებული მშენებლობადამთავრებული ობიექტის ადგილზე შემოწმებისას დადგინდა შემდეგი:

ფასადი ა-გ ღერძებში: +0.00 ნიშნულზე შეცვლილია ბაქნის მოპირკეთება.
ფასადი 1-3 ღერძებში: 1-1 ღერძთან ბაქნის ძირის მოპირკეთება არ არის ნაჩვენები პროექტში. 2-3 მონაკვეთში გაზრდილია კარის წინ ღიობის გაბარიტი სიმაღლეში. შეცვლილია ორი კარის და ერთი ფანჯრის ნახატი. კარების ქვეშ შეცვლილია ბაქნის მოპირკეთება. +3.50 ნიშნულზე ორი კარის წინ არ არის მოწყობილი მინის მოაჯირები. შენობის ძირში ბაზალტის ფილებით მოპირკეთება არ არის მოწყობილი.
ფასადი გ-ა ღერძებში: +0.00 ნიშნულზე არ არის მოწყობილი კარის ღიობი და საფეხური. დამატებულია გამწოვი მილები. +3.50 ნიშნულზე ა-ა ღერძთან კედელზე შეცვლილია კუთხის ფორმა. არ არის მოწყობილი ლითონის ცხაურა. გაუქმებულია ერთი წყლის მილი, ხოლო მეორეს შეცვლილია აქვს ფორმა.
გ-ა და **3-1** ფასადები: კედლებზე შეფითხვნა შეღებვის ნაცვლად მოწყობილია ქვიშა-ცემენტის ხსნარით შეფრქვევა (ბრიზგი).
ფასადებზე შეცვლილია ზოგიერთი ღიობის გაბარიტი.
შენობის შიგნით -3.24 ნიშნულზე გაუქმებულია კიბე და სარდაფი, რის გამოც ფართი მოკლებულია 92 კვ-მით. +0.00 ნიშნულზე შეცვლილია კიბის მოწყობა. ბ-ბ და 3-3 ღერძების კვეთაზე ორივე სართულზე დამატებულია კოლონა, ხოლო ბ-ბ ღერძს და კოლონებს მონაცვლებული აქვს ადგილი. +3.50 ნიშნულზე 3-3 ღერძთან შეცვლილია კიბის უჯრედის ღიობი.

ზ.ა.კ. VI-ე თავის, 83-ე, მუხლის ა.ს.კ. მე-2 მ. მე-5 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 24.03.09წ. №57-ე დადგენილების 95-ე მუხლის, 97-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, ამავე მუხლის მე-5 პუნქტის "გ" ქვეპუნქტის, 99-ე მუხლის 1-ლი პუნქტის და საქართველოს მთავრობის 11.08.2005წ. №140-ე დადგენილების, ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „პ“ ქვეპუნქტის, მე-4 მუხლის, მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის, მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. შპს „არეონი-2“-ს, თამარ ყავრიშვილს, ქ. თბილისში, სექტორი–ვაკე, ვაჟა–ფშაველას გამზ. III კვ. კორპ. №9-ს მიმდებარედ (ნაკვ. №13/048) არსებული მშენებლობადამთავრებული ობიექტის (მრავალფუნქციური (საოფისე სავაჭრო) შენობა) ექსპლუატაციაში მიღებაზე ეთქვას უარი.

2. აღნიშნული ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7) გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: №12/14325394-16 21.11.2014წ. განცხადება.

უფროსის მოადგილე **ვ. მუჯირიშვილი**